პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 47 (6608)

1980 წ. 8 მარტი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ა. გოქსაძის ნახატი.

# მაღალი ჯილდო

## რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა მონაწილეობით

**კვლავ** დიდი დღესასწაულია ქართულ მიწა-წყალზე. 1979 წლის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის საბჭოთა საქართველოს ზედიზედ მეშვიდედ მიენიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ეს საქართველოს მშრომელთა დიდი გამარჯვება, რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ორგანიზატორული მუშაობის მაღალი შეფასებაა.

რესპუბლიკამ პირველი ადგილი დაიკავა ქვეყანაში შრომისნაყოფიერების ზრდის მიხედვით.

სადღესასწაულოდ არის მორთული საქართველოს დედაქალაქი — ძველი და მარად ახალგაზრდა თბილისი. მისი ქუჩები, მოედნები, სანაპიროები შემკულია წითელი დროშებითა და ტრანსპარანტებით, მწვანე ყვავილწნულებით, ცოცხალი ყვავილებით.

საზეიმოდ მოურთავთ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდი დარბაზი. სცენის სიღრმეში დგას მთელი მსოფლიოს მშრომელთა გენიალური ბელადის ვ. ი. ლენინის ქანდაკება. საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშას ამშვენებს ორი ლენინის ორდენი, ოქტომბრის რევოლუციისა და ხალხთა მეგობრობის ორდენები, რომლებითაც დაჯილდოვდა რესპუბლიკა.

აქ ექვს მარტს გაიმართა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელშიც მონაწილეობდნენ სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულები. კრება მიეძღვნა საქართველოს სს რესპუბლიკისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემას, რომელიც მას 1979 წლის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით მიენიჭა.

კრების მუშაობაში მონაწილეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის საგეგმო და საფინანსო ორგანოების განყოფილების გამგე ამხ. ბ. ი. გოსტევი.

მასთან ერთად კრების პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლბინი, ო. თ. კულიშევი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, ბ. ვ. ადლეიბა, თ. ი. მოსაშვილი, ვ. რ. პაპუნიძე, ფ. ს. სანაკოევი, ო. ა. შარტავა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ვ. ე. ოდინცოვი. ტრადიციისამებრ აქტივის კრების მონაწილეთა შორის არიან საქართველოს სს რესპუბლიკის დაჯილდოების გამო გამართული ზეიმზე ჩამოსული მოძმე რესპუბლიკათა დელეგაციები — აზერბაიჯანის სსრ დელეგაცია რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ყ. ა. ხალილოვის მეთაურობით და სომხეთის სსრ დელეგაცია რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ფ. ტ. სარკისიანის მეთაურობით.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზ. ა. პატარიძემ, რომელიც კრების მონაწილეთა, რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახელით მხურვალედ მიესალმა ძვირფას სტუმრებს.

უდიდესი აღფრთოვანებით, ტაშის გრიალში აირჩიეს კრების საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მეთაურობით.

მტკიცდება დღის წესრიგი, რომელშიც ერთი საკითხია: „1979 წლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და 1980 წლისა და მთლიანად ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მონაწილეებისათვის გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ხელოვნების ოსტატები და მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები. (საქინფორმი).

# საბჭოთა ქალებს

**ძვირფასო საბჭოთა ქალებო!**

**ჩვენი სამშობლოს სახელოვანი შვილებო!**

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ძმურვალედ გილოცავთ ქალთა საერთაშორისო დღეს — ყველა კონტინენტის მშრომელ ქალთა ერთიანობისა და სოლიდარობის დღეს!**

**ამ ნათელ გაზაფხულის დღესასწაულს აღვნიშნავთ ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის წინ. ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სამშობლო მტკიცედ ადგას ლენინურ კურსს. ლენინისაგან სწავლობენ საბჭოთა ადამიანები ცხოვრებას, მუშაობას, ბრძოლასა და გამარჯვებას. საბჭოთა ხალხი უსაზღვრო ერთგულებით ემსახურება ლენინის, კომუნისტური პარტიის საქმეს, სავსებით იწონებს და ერთსულოვნად უჭერს მხარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მრავალმხრივ საქმიანობას.**

**პარტიამ ხორცი შეასხა ლენინის ანდერძს — საბჭოთა ქალები საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები არიან, ნაყოფიერად შრომობენ ფაბრიკა-ქარხნებში, მშენებლობებსა და ტრანსპორტზე, მინდვრებსა და ფერმებში, სახალხო განათლებასა და ჯანმრთელობის დაცვაში, ვაჭრობასა და მომსახურების სფეროში. მნიშვნელოვანია მათი წვლილი მეცნიერების განვითარებასა და კულტურის აყვავებაში.**

**საბჭოთა ქალები აქტიურად მონაწილეობენ კომუნიზმისათვის, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, უაირათიანობისა და მომჭირნეობისათვის, დისციპლინის განმტკიცებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში. ათასობით შესანიშნავმა მშრომელმა ქალმა უკვე შეასრულა პირადი ხუთწლიანი დავალებანი.**

**გულითადი მადლობა თქვენ, ძვირფასო ქალებო, შრომითი მამაცობისათვის, ენთუზიაზმისათვის, შემოქმედებისათვის!**

**უდიდესი მადლიერების გრძნობით მივმართავთ დედას, იგი სიცოცხლეს აძლევს ბავშვს, დგას მის აკვანთან, უზიარებს თავისი გულის სითბოსა და სინაზეს, ისწრაფვის აღზარდოს ჩვენი სამშობლოს ღირსეული მოქალაქე. კომუნიზმის მომავალ მშენებელთა აღზრდა მაღალი მოწოდება, საპატიო მოვალეობა და დიდი პასუხისმგებლობაა. და ამ კეთილშობილურ საქმეში ყოველ დედას, ყოველ ოჯახს სულ უფრო დიდ დახმარებას უწევენ პარტია და სახელმწიფო. ყოველწლიურად შენდება მილიონობით ბინა, ფართოვდება საბავშვო ბაგებს და ბაღების ქსელი, იხსნება ახალი სკოლები და კლუბები, ჯანმრთელობის კერები და სტადიონები.**

**საბჭოთა ქალების თავდადებასა და ნიჭს ბევრად უნდა უმადლოდეს ჩვენი სამშობლო თავის ისტორიულ მიღწევებს. მათი მზრუნველი ხელი, გულისხმიერება და კეთილშობილება ამშვენებს ჩვენს ცხოვრებას, ამკვიდრებს სიკეთესა და სილამაზეს.**

**დაუვიწყარია საბჭოთა ქალების გმირობა დიდი სამამულო ომის წლებში. მამებთან, ძმებთან, ქმრებთან ერთად ისინი გმირულად იბრძოდნენ ფრონტებზე და პარტიზანულ რაზმებში, მკლავმოუღლელად შრომობდნენ ზურგში. ომის განსაცდელის მკაცრ წლებში ყველაზე სრულად გამოვლინდა ლენინის პარტიის, სოციალისტური წყობილების მიერ აღზრდილი ქალის სიდიადე.**

**ცოცხალ რეალობად იქცა ქალთა ფართო მონაწილეობა სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში. განვლილ არჩევნებში მილიონას ოცდაათი ათასზე მეტი სახელოვანი ქალი არჩეულია მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების, ადგილობრივი საბჭოების დეპუტატად. საბჭოთა ქალები აქტიურად მუშაობენ პარტიულ, სახელმწიფო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში. ეს მკაფიოდ, დამაჯერებლად ადასტურებს ჩვენი საბჭოთა დემოკრატიის, სოციალისტური ცხოვრების წესის უპირატესობებს.**

**ჩვენი ხალხის ყველაზე სანუკვარი მისწრაფებაა მშვიდობა. საბჭოთა ქალები მხურვალედ იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ საგარეო-პოლიტიკურ კურსს, რომლის მიზანია სოციალისტური ქვეყნების ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცება, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გაღრმავება, საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცება, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ხალხთა ბრძოლის მხარდაჭერა. სულ უფრო ხმამაღლა გაისმის პლანეტის ქალთა ხმა ავანტიურებისა და გამალებული შეიარაღების იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ, ჰეგემონიზმის წინააღმდეგ. არ გვსურს „ცივი ომი!“ მშვიდობა — ხალხებს, ბედნიერება — ბავშვებს!**

**ძვირფასო ქალებო! ჩვენო დედებო, შვილებო, დებო, მეგობრებო! გისურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებებს შრომაში, სწავლაში, შემოქმედებაში. სიხარული და ბედნიერება თქვენ და თქვენს ოჯახებს!**

**პატივი და დიდება საბჭოთა ქალებს!**

**გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელ ქალთა ერთიანობასა და სოლიდარობას!**

**დაე მტკიცდებოდეს და ყვაოდეს ჩვენი მძლავრი სოციალისტური სამშობლო!**

**გაუმარჯოს კომუნიზმს!**

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი**

# დღესასწაულს გილოცავთ, ქვირფასო ქალებო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იმ მოგონებასავით ლამაზი

**თბილისის** ძველი უბანი — მთაწმინდა. სახლს უსურვაზი აქვს შემოხვეული, სახლივით ძველია ვაზის ძირიც...

მასპინძელს თითქოს დავავიწყდი, აივანს დაჰყურდნობია და მთებს გასცქერის. ამაოდ ვცდილობ, მყინვარზე პირველი ქართული ასვლის მონაწილე ცხრამეტი წლის გოგონად წარმოვიდგინო თმაგათეთრებული ქალი... მაშინაც ვცადე, სურათებით სავსე ოთახის კედლებს რომ ვათვალიერებდი. ალბათ შემატყო მასპინძელმა. მე მეძებთ? — მკითხა და გაიღიმა. ღიმილს იქით ჩუმი სევდა მოკალათებულიყო. ბოლო წლებში, რამდენი სტუმარი მწვევია და ვერც ერთს ვერ უნახავს მსგავსება ჩემსა და იმდროინდელ სურათებს შორის... ან რა გასაკვირია, სამოცი წელი გავიდა მას შემდეგ...

დუმს ჩემი მასპინძელი, მთებს გაჰყურებს და ფიქრობს. საოცნებო და გასახსენებელი საკმაოდ აქვს მყინვარწვერზე პირველი ასვლის მონაწილე ელენე ლორთქიფანიძეს...

ბინდდება. მთაწმინდის თავზე ღრუბლები იყრება. ხანდახან ქარი წამოუქროლებს და თითქოს რაღაცამ უბიძგაო ისევ გაიშლება ღრუბელი...

— მაშინაც თითქმის ასე იყო, — იგონებს ქალბატონი ელენე, — მყინვარწვერიდან ჯერ დაბლა ჩამოწვა ღრუბელი და მთლად გადაგვფარა, შემდეგ ქარმა იძალა, ბურუსი გაფანტა და კვლავ გამოჩნდა დიდებული მყინვარი... აშინლად ციოდა, ისეთი ქარი იყო, წერაყინებით ძლივს ვიმაგრებდით თავს ყინულზე. ამინდი თანდათან უარესდებოდა, მაგრამ მიზანი უკვე ახლოს იყო და საფრთხეს, ქარიშხალს, ყინვას ყურადღებას აღარ ვაქცევდით. ბოლოს ფერდობიც დაილია და მწვერვალზე ვიყავით... მრავალი წლის ოცნება შეგვისრულდა. გახარებული ვეხვეოდით ერთმანეთს... რომ ვიხსენებ, ასე მგონია, მყინვარზე ახლა ავდივარ, იმ სიცივესაც ვგრძნობ, სხეულს რომ მიყინავდა, იმ ეჭვსაც — რომ ვერ ავიდეთ? ჩემი მეგობრების ბედნიერი სახეებიც მახსოვს, ორი გაყინული ვაშლის გემოც, მწვერვალზე ატო აღნიაშვილმა რომ გაგვინაწილა.

მოგონებას მოგონება მოჰყვა და ახლაღა შევნიშნე მსგავსება, მთელი საღამო ტყუილად რომ ვეძებდი სურათში ნანახ ალპინისტ გოგონასა და წლებით დამძიმებულ ჭაღარა ქალს შორის. ისეთი ბავშვური და მიამიტი თვალები გაუხდა, როგორიც სამოცი წლის წინათ გადაღებულ სურათებში ჰქონდა...

წინასწარ ვიცოდი, საუბრებში თუ მოგონებებში მყინვარის გარდა სხვა მწვერვალებზე ასვლას არასოდეს არ იხსენებდა, მიზეზი რომ ვკითხე, მიპასუხა:

— „მყინვარის შემდეგ სხვა მწვერვალებზეც მრავალჯერ ვყოფილვარ, მაგრამ, ის ბედნიერი წუთები, ის შეგრძნება აღარ განმეორებულა. მყინვარი ჩემი გამოცდა იყო. ადამიანებს კი ყველაზე კარგად პირველი განცდები გვამახსოვრდება; პირველი სიყვარული, სიხარული და თვით ტკივილიც კი“...

— **ალბათ ბავშვობიდანვე გიტაცებდათ ალპინიზმი...**

— „მთები ყოველთვის მიყვარდა, მაგრამ მთამსვლელობაზე არასოდეს მიფიქრია. ყველაზე ძალიან ტანვარჯიში მიზიდავდა და პირველი კლასიდანვე ვვარჯიშობდი ამ სახეობაში. ალპინიზმით გატაცება კი ასე დაიწყო: მეექვსე, მეშვიდე კლასში ლამქრობებს ვაწყობდით ქალაქგარეთ ჩვენი მასწავლებლის გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით. ამ პატარა მოგზაურობებს ხუმრობით „გაფრენებს“ ვეძახდით. ფეხით მივდიოდით კუს, ლისის ტბებზე. მთაწმინდის ხშირი სტუმრები ვიყავით. მალე უბრალო „გაფრენები“ ნამდვილ მომზადებად გადაიქცა. გადავწყვიტეთ პირველი ასვლა მყინვარზე მოგვეწყო და როგორც იცით, 1923 წელს მთლად ახალგაზრდებმა, ჩვენს ქვეყანაში პირველებმა — დავძლიეთ მწვერვალი...“

ოთახის კარი გაიღო და აივანზე ორი პატარა ბავშვი გამოვიდა. ჯერ მორცხვად წამოვიდნენ ჩვენსკენ, შემდეგ გამოიქცნენ და ბებიას შემოეხვივნენ.

— ჩემი შვილიშვილები არიან, ეკა და სანდრო. ამათაც ჩემსავით უყვართ დათოვლილი მთები... მოთხილამურეთა სკოლაში დადიან. თხილამურებზე რომ ჰკითხო, გიპასუხებენ — თოვლსა და ყინულზე სიარულს ვეჩვევით, ჩვენც ხომ უნდა დავიპყროთ როდესმე მყინვარი...

...რომ დავემშვიდობე, კარგა შეღამებული იყო. ქარი ჩამდგარიყო. კიდევ ერთხელ გავხედე უსურვაზით შემოხვეულ სახლს. აივანზე მასპინძლის ლანდი შევნიშნე. არ ვიცი, იქნებ მთებსაც გაჰყურებდა. მერე მოაჯირს მოსცილდა და რამდენიმე წამში მომესმა, თუ როგორ გაიხმაურა ელენე ლორთქიფანიძის განვლილ დღეთა ლამაზ მოგონებასავით ძველმა ხის კარმა...

**მ. ჩალათაშვილი.**

## შრომითი მიღწევებით ეგებებიან

**თბილისის** წინდის საწარმოო გაერთიანება „კრწანისი“ ერთერთი მოწინავე ორგანიზაციაა კიროვის რაიონში. აქაურმა მშრომელებმა უკვე მეხუთედ მოიპოვეს გარდამავალი წითელი დროშა სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული მაღალი მაჩვენებლებისათვის. კრწანისელებმა 1980 წლისთვის ივალიებულის გეგმის გადამეტებით დაამზადონ 300 ათასი მანეთის მაღალხარისხოვანი პროდუქცია. აღსანიშნავია, რომ მათ მიერ გამოშვებული 6 სახის ნაწარმს უკვე მინიჭებული აქვს სახელმწიფო ხარისხის ნიშანი.

კოლექტივის შრომითი საქმიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ფიზკულტურულ-სპორტულ მოშაობასთან. აქაურ მშრომელებს (ისინი ძირითადად ქალები არიან) უყვართ ფიზკულტურა და სპორტი. ბევრი ჩაბმულია ჭადრაკის, შაშის, ტყვიის სროლისა და მძლეოსნობის სექციებში. ყველა საამქროში ფიზორგების ხელმძღვანელობით ტარდება საწარმოო ტანვარჯიში. ფიზკულტურის კოლექტივის საბჭო ხშირად მართავს ტურისტულ ლაშქრობებს, შეჯიბრებებს მშთ-ს მრავალჭიდში და სხვა მასობრივ ღონისძიებებს. აქაური სპორტსმენები, როგორც წესი, წარმატებით გამოდიან მსუბუქი მრეწველობის წარმოება-დაწესებულებათა რესპუბლიკურ პირველობებზე. გაერთიანებამ მშრომელთა აქტიური დასვენებისათვის სოფელ ალექსეევკაში (ფეთრი წყაროს რაიონი) მოაწყო ბაზა, სადაც შაბათ-კვირას ისვენებენ საწარმოს მშრომელები. მართავენ საინტერესო სპორტულ ღონისძიებებს.

ბუნებრივია, სპორტული წრთობა მშრომელთა შრომისნაყოფიერების ზრდასაც უწყობს ხელს. შრომითს ფრონტზე საუკეთესო მაჩვენებლებს, აღწევენ გამომშვები საამქროს კომკავშირის 50 წლისთავის სახელობის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის წევრები. აქ საწარმოო ტანვარჯიშს მზია ბებოშვილი ხელმძღვანელობს. მას მხარში უდგას საამქროს კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ნანა მეშვილიშვილი.

საწარმოს კომკავშირული ორგანიზაცია მზრუნველობას არ აკლებს ფიზკულტურულ სპორტულ საქმიანობას, ყოველმხრივ ახალისებს ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან მოჭადრაკეები დალი ჩიგოგიძე და მარინე გოგლიძე, მოთხილამურე ლია ორველაშვილი, მძლეოსნები ნანა ლეონიძე და რუსიკო დავითაშვილი. საწარმოს ხელმძღვანელობა, პარტიული ორგანიზაცია სხვადასხვა შეჯიბრებებში გამარჯვებულ სპორტსმენებს სიგელებითა და პრემიებით აჯილდოებს.

თავდადებულმა შრომამ, ფიზკულტურასა და სპორტთან მეგობრობამ კიდევ უფრო შეამჭიდროვა გაერთიანების კოლექტივი. ამიტომაცაა, რომ საწარმოს მშრომელები ახალი შრომითი მიღწევებით შეხვდნენ ქალთა საერთაშორისო დღეს.

**კ. სალუქვაძე.**

* * *

**სურათებზე:** ფიზკულტურული აქტივის მორიგი სხდომა (მარცხნიდან): ნ. მეშველიშვილი, მ. ბებოშვილი, მ. გოგლიძე და ს. მუზაშვილი; გამომშვიდ საამქროში მიმდინარეობს საწარმოო ტანვარჯიში.

ავტორის ფოტოები.




## ბაკურიანიდან გილოცავთ ტერსკოლში

**იგი** ნამდვილი ბაკურიანელია და შეიძლება ითქვას „ფეხის ადგმისთანავე“ ეზიარა თხილამურებს.

— მამამ მაგრძნობინა თხილამურების ეშხი და მიმზიდველობა, ის იყო ჩემი პირველი მწვრთნელი და დღესაც მავარჯიშებს. — აკმაყოფილებს ჩვენს ცნობისმოყვარეობას საქართველოს ნაკრების წევრი სამთო-სათხილამურო სპორტში, რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი მერი კოზანაშვილი.

...პირველი თოვლისთანავე ნახავდით „კოზანაანთ გოგონას“ ბაკურიანის პარკში ტოლებთან და უფროს ძმასთან ანზორთან ერთად. ნორჩები ქივილ-ხივილით ეშვებოდნენ პარკის ფერდობიდან. ზოგი მოსახვევთან ეცემოდა, ზოგს „ფინიშზე“ თხილამური ძვრებოდა ფეხიდან, მერი კი იმთავითვე ყველას სჯობდა და, წარმოიდგინეთ, ზოგჯერ უფროსებსაც ეჯიბრებოდა.

კოზანაშვილებმა პირდაპირ აიკლეს პარკი, — ცხარობდა ერთი დისახლისი — ყველას უნდა ჩემპიონი გახდეს...

მართლაც, მერი, ანზორი, აჩიკო, ცირა კოზანაშვილები სკოლიდან პირდაპირ ბავშვებისთვის საყვარელ პარკში გარბოდნენ და ვინ იცის მერამდენედ ეშვებოდნენ გაოფლიანებული და თოვლში ამოგანგლულნი.

გამართლდა „წინასწარმეტყველება“: ბაკურიანში კოზანაშვილები მრავლად ცხოვრობენ და თითქმის ყველა კარგი მოთხილამურეა — ზოგი ჩემპიონია, ზოგიც სპორტის ოსტატის წოდებას უმიზნებს, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბაკურიანელთა ამ სათხილამურო დინასტიაში დღეს ყველაზე ცნობილია მერი კოზანაშვილი.

— მათი შემყურე, ლამის მეც შევდგე თხილამურებზე, — ღიმილით გვეუბნება მერის დედა რაისა კოზანაშვილი.

რვა წლის მერი მამამ მიიყვანა „დინამოს“ სპორტსკოლაში, აქ მან სპორტის ოსტატ ნელი ომიაძესთან დაიწყო ვარჯიში, 11 წლისამ კი ბაკურიანში რესპუბლიკის ახალგაზრდა სპორტსმენთა შეჯიბრებაში ტოლი არავის დაუდო და თავისი პირველი ჯილდო — თასი დაისაკუთრა. იგი დღესაც ამშვენებს კოზანაშვილების ოჯახს.

მერე წარმატებას წარმატება მოსდევდა. სულ ახლახანს კი მერიმ სპორტის ოსტატის საპატიო წოდება მოიპოვა.

... გაზაფხულის ამ ლამაზ დღეს — ქალთა საერთაშორისო დღესასწაულზე მერი კოზანაშვილი ტერსკოლში რესპუბლიკის დირსებას იცავს საკავშირო პირველობაზე გოგონათა შორის. სარვამარტოდ ვუსურვებთ მას წარმატებით სტარტებს ჩეგეტის თოვლიან მთებზე და სიხარულით შეხვედრას საყვარელ კოხტაგორასთან.

**სოფიო ხეთაგაშვილი.**

* * *

**სურათზე:** მ. კოზანაშვილი დისტანციაზე.



GENS UNA SUMUS

**მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩები**

## ხელიდან გაუშვებული უპირატესობა

როგორც ვიუწყებოდით, 5 მარტს ნ. გაფრინდაშვილ — ნ. გურიელის მატჩში მესამე პარტია გათამაშდა და საინტერესო ბრძოლის შემდეგ დაუმთავრებელი დარჩა. გთავაზობთ ამ პარტიას.

**ნ. გაფრინდაშვილი — ნ. გურიელი**

**ჰოლანდიური დაცვა**

1. d4 e6 2. c4 f5 3. g3 ∂f6 4. ♗g2 ♗e7 5. ∂f3 0—0 6. 0—0 ∂e4 7. b3 ♗f6 8. ♗b2 b6 9. ∂bd2 ♗b7 10. ∂e5 d6 11. ∂d3 ♕e7 12. ♖c2 ∂c6 13. e3 ∂:d2 14. ♖:d2 ∂d8 15. d5 ♗:b2 16 ♖:b2 e5 17. f4 e4 18. ∂b4 a5 19. ∂c2 ♗a6 20. ∂d4 ∂b7 21. ♗h3 ♕d7 22. ♕g2 ∂c5 23. g4 fg 24. ♗:g4 ♕e7 25. ∂e6 ♗f6 26. ∂:c5 bc 27. ♗e6+ ∂:h8 28. ♖:e4 ♗g6+ 29. ♖:g6+ hg 30. ♗f3 ♖h4 31. ♗h3 ♖h6 32. ♗:h6+gh 33. ∂:f2 ∂:g7 34. e4 g5 35. ♗g1 ∂:f6 36. ∂:e3 a4 37. e5 ∂:g6 38. fg hg 39. ∂:e4 ♗f8 40. ♗d7 ♗f4+ 41. ∂:e3. პარტია გადაიდო.

ახალგაზრდა პრეტენდენტმა ისევ ჰოლანდიური დაცვა გაითამაშა, მაგრამ ამჯერად უფრო გავრცელებული სისტემა. ყველა ფიგურის მრბილიზება რომ დამთავრდა, გაფრინდაშვილმა ცენტრში გადაკეტა ხაზები და პოზიციის კონსოლიდაციას შეუდგა.

კრიტიკული პოზიცია შეიქმნა მე-17 სვლაზე. გურიელს გადაწყვეტილება უნდა მიეღო, როგორ წარმართა სტრატეგიული ბრძოლა. ჩვენი აზრით, მან იჩქარა c პაიკის წინსვლა. ჯერჯერობით პაიკი ადგილიდან არ უნდა დაეძრა, მერე c5-ზე მხედრის გადაყვანისას სჯობდა ♗c8 უჯრაზე დაეყენებინა. გაფრინდაშვილმა მყისვე გაარღვია მეფის ფრთა და პაიკი მოიგო.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ჩინებულად წარმართა თამაში. ლამაზი იყო მისი კომბინაცია (ლაზიერის დროებითი შეწირვა) ენდშპილში გადასვლელად. კარგი გახლდათ 37-ე სვლით დაწყებული ოპერაციაც. მაგრამ პარტიის ფინალში, უკვე 38-ე და, განსაკუთრებით, 39-ე სვლებით ხელიდან გაუშვა უპირატესობა. როგორც ჩანს, მას გურიელის 39-ე სვლა გამორჩა, შავმა ეტლმა მოქმედების ფართო სარბიელი მიიღო.

გუშინ, 7 მარტს მოეწყო ამ პარტიის დამთავრება. თამაშის განახლებიდან რამდენიმე სვლის შემდეგ მეტოქენი დაზავდნენ. აი, როგორ მოხდა ეს: 41. ...d2 42. ♗g4 ∂:f6 43. ♗:f4 ef+ 44. ∂:e4 a3 45. ♗h3. ყაიმი გაფრინდაშვილის წინადადებით.

გუშინწინ, 6 მარტს მეტოქეებს მეოთხე პარტია უნდა ეთამაშათ, მაგრამ იგი არ შედგა—გაფრინდაშვილმა „წუთ-შესვენება“ აიღო.

დღეს მოჭადრაკეები ისვენებენ.

ამრიგად, მატჩის ანგარიშია 2,5:0,5 ნ. გაფრინდაშვილის სასარგებლოდ. ხვალ, 9 მარტს გაიმართება მეოთხე პარტია. თეთრებით გურიელი ითამაშებს.

**თ. გიორგაძე.**

● ჭადრაკი

## ჰაიკის ძალა

**კისლოვოდსკი, 7 მარტი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).** ე. ახმილოვსკაია — ნ. ალექსანდრიას მატჩის მესამე პარტიაში, რომელიც 5 მარტს შედგა, მოჭადრაკეებმა, როგორც პირველში, ესპანური პარტია გაითამაშეს. მათ გაიმეორეს თორმეტი სვლა, მერე ალექსანდრიამ სხვა გაგრძელება აირჩია. მან მეფის პაიკების წინსვლით შეავიწროვა შავი კუ. პოზიცია შესამჩნევად დაიძაბა.

მე-19 სვლაზე ახმილოვსკაიამ შეძლო ცენტრალური პაიკის ამოძრავება, რამაც მას გარკვეული უპირატესობა მოუტანა. როდესაც ამ პაიკმა d3 უჯრას მიაღწია, კრასნოიარსკელი მოჭადრაკის ინიციატივა თვალსაჩინო გახდა. ალექსანდრია წინდახედული თამაშით უვნებელყოფდა მუქარას, მაგრამ შავ ფიგურებს მანევრირების დიდი შესაძლებლობა ჰქონდათ და მათ მთლიანად დაიპყრეს ცენტრი. წყვილი ეტლის გაცვლის მიუხედავად, ალექსანდრიას პოზიცია მაინც მძიმე დარჩა.

42-ე სვლაზე პარტია გადაიდო.

აი, ეს პარტია:

**ნ. ალექსანდრია — ე. ახმილოვსკაია**

**ესპანური პარტია**

1. e4 e5 2. ∂f3 ∂c6 3. ♗b5 a6 4. ♗a4 ∂f6 5. 0—0 ♗e7 6. ♖e1 b5 7. ♗b3 d6 8. c3 0—0 9. d4 ♗g4 10. ♗e3 ed 11. cd d5 12. e5 ∂e4 13. h3 ♗h5 14. g4 ♗g6 15. ∂fd2 ∂:d2 16. ∂:d2 ∂a5 17. f4 f5 18. ♗c2 c5 19. dc d4 20. ♗f2 ♗:c5 21. ∂b3 ∂:b3 22. ♗:b3 ∂:h8 23. ♕d2 ♕e7 24. a3 d3 25. ♗:c5 ♖:c5 26. ∂:g2 ♖ad8 27. ♖ac1 ♕e7 28. g5 ♖d4 29. ∂:g3 ♖fd8 30. ♗d1 ♗f7 31. h4 ♗d5 32. ♖e3 ♗e4 33. ♗b3 ♕a7 34. ♖ee1 a5 35. ♗d1 ♕b6 36. ♗h5 g6 37. ♗d1 h5 38. gh ∂:h7 39. b4 a4 40. ∂:h2 ♖c4 41. ♖:c4 bc. პარტია გადაიდო.

გუშინ საღამოს გაიმართა მატჩის მეოთხე პარტია. ამჯერად ალექსანდრიამ მერანის დაცვა აირჩია. მან სწრაფად გათანაბრა თამაში. როდესაც ლაზიერის ფრთაზე პაიკები გაიცვალა, ალექსანდრიას პოზიცია უფრო პერსპექტიული გახდა, მაგრამ ახმილოვსკაიამ ზუსტი სვლებით შეძლო ყველა პაიკის გაცვლა და თამაშიც გათანაბრდა. მეტოქენი დაზავდნენ.

გთავაზობთ ამ პარტიას:

**მეოთხე პარტია**

**ე. ახმილოვსკაია — ნ. ალექსანდრია**

**მერანის დაცვა**

1. e4 c6 2. ∂f3 d5 3. d4 ∂f6 4. ∂c3 e6 5. e3 ∂bd7 6. ♗d3 dc 7. ♗:c4 b5 8. ♗e2 b4 9. ∂a4 ♗b7 10. 0—0 ♗e7 11. a3 a5 12. ♕c2 0—0 13. ♗d2 c5 14. dc ♗e4 15. ♗d3 ♗:d3 16. ♖:d3 ∂:c5 17. ∂:c5 ♗:c5 18. ♖c4 ♗c8 19. ♖b5 ∂e4 20. ♗fd1 ♖f6 21. ♗ab1 ba 22. ba ∂c3 23. ♗:c3 ♖:c3 24. ♗bc1 ♖:a3 25. ♗a1 ♗fd8 26. ♗:a3 ♖c3 27. ♖:a5. ყაიმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს საღამოს მოეწყო გადადებული პარტიის — ამ სტატიის მეორე პარტიაში, რომელშიც ახმილოვსკაიას ზედმეტი პაიკი ჰქონდა, 54-ე სვლაზე მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

აი პარტიის გაგრძელება:

...∂:g8 42. ♖e5 ∂e7 43. ♗g4 ∂:f6 44. ♖e4 ∂:g7 45. ♖e2 ♗c5 46. ♖d8 ♗b4 47. ♖e3 ∂c8 48. ♖ee8 ∂d6 49. ♖e2 b5 50. ♗d3 ba 51. ba ∂b7 52. ♖de8 c5 53. ♗b5 c4 54 ♖8 e4 c3. ყაიმი.

მესამე პარტიაში ალექსანდრია თამაშის განუახლებლად დანებდა მეტოქეს:

ამრიგად, მატჩის ანგარიშია 2:2.

მეხუთე პარტია კვირას, 9 მარტს გაიმართება.

**დ. ჯანოევი,**

**საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი, ოსტატი.**

## უტევს ფამილა მესხი

**ტალინი, 7 მარტი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.).** აქ მიმდინარე ქალთა საკავშირო ტურნირში — „ტალინი-80“ გაიმართა გადადებული პარტიების დამთავრება და IV ტურის შეხვედრები.

გადადებული პარტიების დამთავრებისას თ. ბელოვა (ფსკოვი) — ა. გრინფელდის (ალმა-ათა) და ნ. ალიოხინა (ვორონეჟი) — მ. რანიკის (ტალინი) პარტიები ყაიმით დამთავრდა. თ. ხოკაშვილმა (თბილისი) ნ. იუნთან (ტალინი) შეხვედრაში მიზანს მიაღწია 93-ე სვლაზე, როდესაც ტალინელმა მოჭადრაკემ ფაზრო წინააღმდეგობა შეწყვიტა.

IV ტურში თ. მესხმა (ქუთაისი) მხედრის ენდშპილი შეწირვით 22-ე სვლაზე დააშამათა ოსტატ გრინფელდის ვერიგვერიოსანი. ლ. ბელავენეცმა (მოსკოვი) მოუგო კრუზიუს (ტალინი), იუნმა — ტ. ლიმბერგს (ტალინი). დაზავდნენ ლევიტინა—ალიოხინა.

ამ ტურის შეხვედრებს დაესწრო მსოფლიო ჩემპიონი, დიდოსტატი მ. ჩიბურდანიძე. რომელიც ახლა ესტონეთის დედაქალაქში იმყოფება.

4 ტურის შემდეგ ლიდერობენ ლ. ბელავენეცი — 3 ქულა, ვ. რანიკი — 2,5 (1), ი. ლევიტინა და თ. მესხი — 2,5-2,5.

**თ. ხარლამიდი.**

## „დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 2:1 (0:0)

მთელი პირველი ტაიმი დინამოელთა უპირატესობით მიმდინარეობდა. ბევრი იყო კომბინაცია, საგოლე სიტუაციებიც, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში თბილისელი ფორვარდები სცოდავდნენ და სპარტაკელთა კარი პირველი ორმოცდაათი წუთის განმავლობაში ხელუხლებელი დარჩა.

თამაშის განახლებისას „დინამომ“ ძლიერი იერიშები მიიტანა სტუმართა კარზე. 61-ე წუთზე ყიფიანის სოლო გარღვევა შორეულ კუთხეში ზუსტი დარტყმითა და გოლით დასრულდა — 1:0. 2 წუთის შემდეგ ორჯონიკიძელთა კართან შექმნილი არეულობით კარგად ისარგებლა ჩელებაძემ — 2:0.

ფაქტიურად საქმე მოთავებული იყო, მაგრამ „სპარტაკმა“ შესაშური შეუპოვრობა გამოიჩინა. არ დაყარა ფარ-ხმალი და რამდენიმე საინტერესო კონტრშეტევაც განახორციელა. დაახლოებით შუა ტაიმში ერთ-ერთი მათგანი ჩქარეულის საპასუხო გოლით დამთავრდა — 1:2.

თბილისის „დინამო“ თამაშობდა ასეთი შემადგენლობით: **გაბელია, სულაქველიძე, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, ჭილაია, დარასელია, მ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი (მინაშვილი), გუცაევი (შენგელია), ყიფიანი, ჩელებაძე (ქორიძე).**

**ბ. ირემაძე.**

**სურათზე:** გარღვევაზეა გუცაევი.

● ფეხბურთი ● სსრ კავშირის თასი

## „ქაირათი“ (ალმა-ათა) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 3:0 (2:0)

თითქმის მთელი ტაიმის მანძილზე თამაში მიმდინარეობდა შუა მინდორში, არც ერთ კართან არ შექმნილა რეალური საგოლე მომენტი, მაგრამ ბოლო წუთები ალმაათელებმა ძლიერად ჩაატარეს, 41-ე წუთზე გლადილინმა გახსნა ანგარიში, ორიოდე წუთის შემდეგ კი ქუთაისელთა დაცვისა და მეკარის შეცდომა კარგად გამოიყენა ბულგაკოვმა — 2:0.

მესამე გოლი „ქაირათმა“ გაიტანა მე-60 წუთზე და მატჩის ბედიც ნათელი გახდა. მართალია, ტორპედოელებმა არაერთხელ სცადეს დაეღწიათ თავი „მშრალი“ ანგარიშით დამარცხებისაგან, მაგრამ შედეგი ამას არ მოჰყოლია. კერძოდ, საპასუხო გოლის გატანის შესაძლებლობა ჰქონდა ზ. სვანაძეს.

ტორპედოელთა გუნდი გუშინ ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: **მჭედლიძე, შუგაევი, გვაძაბია, შელია, ზ. სვანაძე, ოჭროპირაშვილი, ბურკაძე, ქვირია, გორგოძე (შენგელია), ებანოიძე (თ. სვანაძე), კვერნაძე, (მხატვარი).**

**რ. გაბრიელიძე.**

## ასკ (ხაბაროვსკი) — ასკ (ოდესა) 2:0 (1:0)

არმიელ ფეხბურთელთა ამ შეხვედრაში ერთგვარი უპირატესობა ოდესელებს ჰქონდათ. ისინი მეტს მოძრაობდნენ, აქტიურადაც მოქმედებდნენ, მაგრამ ხაბაროვსკის გუნდის დაცვა და მეკარე მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ.

თავიანთ მხრივ არც ხაბაროვსკელები აკლებდნენ კონტრიერიშებს. ერთ-ერთი მათი საპასუხო შეტევისას ოდესელთა მცველმა ხელით ითამაშა საკუთარ საჯარიმო მოედანზე, რისთვისაც თბილელმა არბიტრმა გ. სეფიაშვილმა სამართლიანად დანიშნა პენალტი. რიუტინის დარტყმა ზუსტი იყო — 1:0.

მეორე ტაიმში ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა. ოდესელები რამდენიმეჯერ ახლოს იყვნენ მიზანთან, მაგრამ საპასუხო ბურთის გატანა გუნდმა ვერ შეძლო, სამაგიეროდ ხაბაროვსკელებმა კიდევ ერთხელ იმარჯვეს და ლავროვმა მეორედ აიძულა მეტოქე ცენტრიდან დაეწყო თამაში.

**რ. ქორიძე.**

**გაიმართა** ფეხბურთში სსრ კავშირის თასის IV ტურის მატჩები მე-2 ზონის გუნდებს შორის. მოგვყავს მათი შედეგები: „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „სპარტაკი“ (ნალჩიკი) 2:0, „შახტიორი“ (დონეცკი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 1:0, „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) 1:1.

დონეცკის „შახტიორმა“ ზედიზედ მეოთხე გამარჯვება მოიპოვა ტურნირში და ჯგუფში დაიკავა I ადგილი. დონეცკელი ფეხბურთელები მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის თასის მერვედფინალში. II ადგილისთვის, რომელიც აგრეთვე იძლევა მერვედფინალში მონაწილეობის უფლებას, პრეტენზიები აქვთ ოდესის „ჩერნომორეცს“ და სიმფეროპოლის „ტავრიას“ (5-5 ქულა).

## ევროპის თასებზე

**5 მარტს გაიმართა ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების მეოთხედფინალური ეტაპის I ტურის შეხვედრები.**

### ჩემპიონთა თასი

„ჰამბურგი“ (გფრ) — „ჰაიდუკი“ (იუგოსლავია) 1:0

„ნოტინჰემ ფორესტი“ (ინგლისი) — „დინამო“ (ბერლინი, გდრ) 0:1

„სტრასბურგი“ (საფრანგეთი) — „აიაქსი“ (ჰოლანდია) 0:0

„სელტიკი“ (შოტლანდია) — „რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი) 2:0

### თასების თასი

„დინამო“ (მოსკოვი) — „ნანტი“ (საფრანგეთი) 0:2

„არსენალი“ (ინგლისი) — „გეტებორგი“ (შვეცია) 5:1

„რიეკა“ (იუგოსლავია) — „იუვენტუსი“ (იტალია) 0:0

„ბარსელონა“ (ესპანეთი) — „ვალენსია“ (ესპანეთი) 0:1.

### უეფა-ს თასზე

„კაიზერსლაუტერნი“ (გფრ) — „ბაიერნი“ (გფრ) 1:0

„შტუტგარტი“ (გფრ) — „ლოკომოტივი“ (სოფია, ბულგარეთი) 3:1

„აინტრახტი“ (მაინის ფრანკფურტი, გფრ) — „ზბროიოვკა“ (ჩეხოსლოვაკია) 4:1

„სენტ-ეტიენი“ (საფრანგეთი) — „ბორუსია“ (მიონხენგლადბახი, გფრ) 1:4.

## ჭურნირი დასრულდა

**ტაშკენტში** დამთავრდა იუნიორ ფეხბურთელთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომლის ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირის პირველი გუნდი და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები.

გადამწყვეტი შეხვედრა მოიგეს საბჭოთა ფეხბურთელებმა— 1:0, რომლებიც დაეუფლნენ კიდეც პრიზს. III ადგილისთვის იბრძოდნენ უნგრეთისა და პოლონეთის გუნდები. გაიმარჯვეს უნგრელებმა ანგარიშით 2:1.

## ოლიმპიური საგზურისთვის

**ესპანეთის** ოლიმპიელმა ფეხბურთელებმა ქ. ალმეირაში შესარჩევი მატჩი (ევროპის III ჯგუფი) მოუგეს ბელგიის ნაკრებს — 2:0 (ბურთები მეორე ტაიმში გაიტანეს მონტერომ და რუბიომ).

ამ ჯგუფში ახლა ასეთი მდგომარეობაა:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელგია | 3 | 2 | 0 | 1 | 6—5 | 4 |
| ესპანეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 4—3 | 3 |
| საფრანგეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 3—5 | 1 |

## ბაკურიანი — 80

# ამჯერად კოხტა მეორეზე

**ბაკურიანში** დამთავრდა საქართველოს პირველობა სამთო-სათხილამურო სპორტში ახალგაზრდებს შორის. შეჯიბრების ბოლო დღეს მონაწილენი სწრაფდაშვებაში (ტრასის სიგრძე — 1200 მ, სიმაღლეთა სხვაობა — 300, 40 კარი) ცდიდნენ ძალებს. ეს სახეობა წლეულს პირველად ჩატარდა კოხტა II-ზე.

მოულოდნელობანი არც ამ უკანასკნელ სტარტებს მოუტანია. სლალომში გამარჯვებულებმა აქაც ისახელეს თავი. უფროსი ასაკის გოგონებში ტურნირი დამაჯერებლად მოიგო მ. მიქაბერიძემ („დინამო“) — 1.49,2. II და III ადგილები დაიკავეს სპარტაკელებმა — ნ. ფარჯიანმა (1.54,4) და ნ. გვიჩიანმა (1.56,5).

უმცროს ასაკში ბურევესტნიკელმა ნ. ალექსი-მესხიშვილმა (1.51,3) აჯობა მუდმივ მეტოქეს, თანაგუნდელ ბოკერიას (1.52,5) და დინამოელ დ. მიქაბერიძეს (1.55,0).

ერთგვარი კორექტივი მოხდა უფროსი ასაკის ბიჭების ასპარეზობაში. დინამოელმა ა. მიქაბერიძემ (1.43,4) სძლია თანაგუნდელ გ. დიაკონაშვილს (1.44,7), III ადგილზეც დინამოელი პ. გელაშვილი გავიდა — 1.45,0.

უმცროს ასაკში თავი კვლავ ისახელა გ. ორჯონიკიძემ („შრომითი რეზერვები“) — 1.41,8. II და III ადგილებზე არიან ბურევესტნიკელები ხაზარაძე (1.47,0), და სულაბერიძე (1.50,0).

გუნდური პირველობა „დინამომ“ მოიგო — 272 ქულა. შემდეგ მოდიან: „ბურევესტნიკი“ — 237, „სპარტაკი“ — 191, განათლების სამინისტროს I გუნდი — 122, „შრომითი რეზერვები“ — 121, განათლების სამინისტროს II ნაკრები — 48, „კოლმეურნე“ — 43.

(ტელეფონით, „ლელოს“ სპეც. კორ.)



# ნახტომი... ზაფხულში

**ამას წინათ 19 წლის ირკუტსკელმა ოსტატმა კ. ვოლკოვმა ჭოკით ხტომაში 564 სმ დაძლია და დარბაზებისთვის მსოფლიო მიღწევა გააუმჯობესა. ამ წარმატების შემდეგ საკდესის კორესპონდენტმა ვ. დუტოვმა მას რამდენიმე კითხვით მიმართა.**

● **ოლიმპიური წლის დასაწყისში მეტისმეტად მაღლა ხომ არ გადახტით?**

— ჩემთვის ცნობილია, რომ ზოგიერთი მწვრთნელი ეჭვს გამოთქვამს ასე ნაადრევი მაღალი შედეგების სარგებლიანობაში, მაგრამ მე ვთვლი, რომ ზამთარში ჩაყრილი საფუძველი, ზაფხულშიც გამოდგება.

● **როგორ უყურებს ამ წარმატებას თქვენი მწვრთნელი?**

— ამ მხრივ ბედმა გამიღიმა: ხტომაში ვარჯიში დავიწყე მამაჩემთან და მასთან უთანხმოება არ მაქვს. მამას მთლიანად ვენდობი. მითუმეტეს, რომ იგი თავის დროზე ახლანდელ ყველა მწვრთნელზე მაღლა ხტებოდა. მაშასადამე; მის პროფესიულ ოსტატობას უნდა ვენდო.

● **მაინც რა სიმაღლეზე აიწევს ოლიმპიადა 80-ის „ოქროს“ თამასა?**

— სადღაც 560-570 სანტიმეტრის საზღვრებში.

● **თქვენი აზრით, ვინ შეძლებს ამ სიმაღლის გადალახვას?**

— ვფიქრობ, მოსკოვის ოლიმპიადაზე არ იქნება ერთპიროვნული ლიდერი. ბევრ საბჭოთა და საზღვარგარეთელ სპორტსმენს შეეძლება დაძლიოს ეს ზღვარი.

● **მაინც ვის გულისხმობთ?**

— ჩემი ამხანაგებიდან — სერგეი კულიბაბას, ვლადიმერ ტროფიმენკოს, ალექსანდრე კრუპსკის... უცხოელებიდან — მაიკლ ტალს, პოლონელ ვლადისლავ კოზაკევიჩს, ფრანგ პატრიკ აბადას...

● **ოლიმპიადამდე რა შეჯიბრებებში მიიღებთ მონაწილეობას?**

— ძმები ზნამენსკების მემორიალში. ვფიქრობ, არც სხვა სტარტებს დავტოვებ უყურადღებოდ.

● **როგორ ანაწილებთ პირად დროს, როგორც სტუდენტი და სპორტსმენი?**

— მიყვარს ტყეში ყოფნა, აგრეთვე, ჭოკით ხტომის მომენტების ფოტოგრაფირება და, რაც მთავარია, სწავლა — რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის III კურსელს ამ მხრივ მეტი მოეთხოვება...

* * *

**ს უ რ ა თ ზ ე: კ. ვოლკოვის სარეკორდო ნახტომი.**

**საკდესის ფოტო.**

● კალათბურთი

## დარჩა სამი ტური

კიევსა და მინსკში გრძელდება ვაჟ კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატი.

**კიევში** პირველი ტურის მატჩში ცსკა-მ დაამარცხა კიევის ასკ და ვადამდე მოიპოვა ჩემპიონის წოდება. გაიმართა მეორე ტურის შეხვედრები: მოსკოვის „დინამო“ — კაუნასის „ჟალგირისი“ — 109:105 (53:60), კიევის ასკ — თბილისის „დინამო“ — 111:92 (57:41), ცსკა — ლენინგრადის „სპარტაკი“ — 97:85 (45:47).

**მინსკში** გუნდები VII-XII ადგილებისთვის იბრძვიან. „სტატიბა“ (ვილნიუსი) — „ლოკომოტივი“ (ნოვოსიბირსკი) — 89:103 (49:56), რტი (მინსკი) — „სტროიტელი“ (კიევი) — 91:87 (50:48), ვეფ-ი (რიგა) — „კალევი“ (ტალინი) — 93:102 (47:48). „სტროიტელი“ — ვეფი — 88:105 (36:46). რტი — „ლოკომოტივი“ — 104:78 (55:29), „სტატიბა“ — „კალევი“ 92:97 (52:53).

● ძიუდო

## ასპარეზობენ ჭაბუკები

**ესტონეთის** ქალაქ ტარტუში ოთხ დღეს მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის პირველობა ჭიდაობა ძიუდოში ჭაბუკთა შორის. ტურნირში მონაწილეობდა მოკავშირე რესპუბლიკების 214 სპორტსმენი. კარგად იასპარეზეს ქართველმა ძიუდოისტებმა. მათ მოიპოვეს 2 ოქროს, 1 — ვერცხლისა და 3 — ბრინჯაოს მედალი. განსაკუთრებული წარმატება ერგოთ ჩვენს ფალავნებს მძიმე წონაში. აქ პირველი სამი საპრიზო ადგილი საქართველოს წარგზავნილებს ხვდათ წილად — პირველი იყო აკაკი კიბორძალიძე (მწვრთნელი ო. მერაბიშვილი), მეორე — დავით ჩალაური (გ. კურტანიძე). ჩემპიონი ქუთაისიდან არის, ვერცხლის მედლის მფლობელი — გორიდან.

ქების ღირსია გლდანის სკოლა-ინტერნატის მოსწავლე მერაბ ჯაჭვაძე (მწვრთნელი ა. ელიზბაშვილი). ჭაბუკმა სპორტსმენმა 7 მოგებით მოიპოვა ოქროს მედალი.

ბრინჯაოს მედლები წილად ხვდათ დუშეთის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეს რ. ძიძიშვილს (ს. ფეიქრიშვილი), მესტიის მეორე საშუალო სკოლის მოსწავლეს ბ. ფირცხელანს (გ. ჩართოლანი) და გორის მე-9 საშუალო სკოლის მოსწავლეს გ. ბუსიშვილს (შ. მელაძე).

გუნდური I ადგილი 29 ქულით მოიპოვა რსფსრ-ს ნაკრებმა, II ადგილი — ყირგიზეთის გუნდმა (26 ქულა). ამდენივე ქულით საქართველოს ნაკრები მესამე ადგილზეა.

● ბიატლონი

## სისწრაფემ გადაწყვიტა

**კიროვო-ჩეპეცკში** დაიწყო ბიატლონისტთა საკავშირო ჩემპიონატი. 20 კილომეტრზე ასპარეზობაში სამივე პრიზიორმა 2-2 ტყვია დააცილა სამიზნეს, მაგრამ ა. ნიკიფოროვი (ნოვოსიბირსკი, შეიარაღებული ძალები) უფროს[illegible] გამოჩნდა და ოქროს მედალი [illegible] მიეკუთვნა [illegible] ადგილზეა ნ. ხოვანსკი (სუმი, „ავანგარდი“) — 1:14.49, III — ვ. სემიონოვი (მინსკი, „დინამო“) — 1:15.40.

იუნიორები 15 კილომეტრზე დარბოდნენ. პირველობა მოიგო ვ. ცეუპელმა (უხტა, „ლოკომოტივი“) — 54.38 (3).

● ციგაოგა

## ბოლო ტური დაიწყო

**მოციგავეთა** წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატის პირველი ორი ტური ბრატსკსა და სვერდლოვსკში გაიმართა. ახლა ისევ სვერდლოვსკში განახლდა საკავშირო ჩემპიონატი. ეს დასკვნითი ტურია. ქალთა შორის 802-მეტრიან მონაკვეთზე რიგელმა ა. რიბენამ ტრასის რეკორდი დამყარა — 33,93 წამი. მანვე მეორე დაშვებაში ეს შედეგიც გააუმჯობესა — 33,73. ვაჟთა შორის ყველაზე უკეთესად გამოვიდა მოსკოველი ს. დანილინი, რომელმაც 1032-მეტრიანი ტრასა 44,559 წამში გაიარა.

● ტურიზმი

## სპორტულ ორიენტირებაში

**ყაზანში** დამთავრდა ზამთრის საკავშირო პირველობა სპორტულ ორიენტირებაში. ქალთა შორის 9900-მეტრიან ტრასაზე პირველობა მოიგო ლენინგრადელმა ი. სტეპანოვამ — 54.22. ვაჟთა შორის 17200-მეტრიან ტრასაზე (14 საკონტროლო პუნქტით) იმარჯვა ვ. სოტნიკოვმა (მოსკოვის ოლქი) — 1:18.54.

● ბალახის ჰოკეი

## მეგობრობის მატჩები

**ინდოეთში,** საერთაშორისო შეხვედრების ჩასატარებლად, იმყოფება სსრ კავშირის ქალთა ნაკრები გუნდი ბალახის ჰოკეიში. სტუმრებმა და მასპინძლებმა უკვე 6 მატჩი გამართეს. ორ შემთხვევაში ინდოეთის სპორტსმენებმა იმარჯვეს, ერთი შეხვედრა სტუმრებმა მოიგეს, ხოლო სამი მატჩი ფრედ დამთავრდა.

მეგობრები კიდევ ორჯერ შეხვდებიან ერთმანეთს. ორივე გუნდის მწვრთნელთა აზრით ეს მატჩები ხელს შეუწყობს ორივე კოლექტივის მზადებას მოსკოვის ოლიმპიადისთვის.

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს“ მეცხრე ტირაჟისა, რომელიც 1 მარტს გაიმართა.

**„სპორტლოტო 6-49“-დან:**

**პირველი:** ექვსი და ხუთი პლუს ერთი ნომერი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის (10 ბარათი) მოგება 6322 მანეთია, ოთხი პლუს ერთისთვის (45) — 95 მან., ოთხისთვის (882) — 70 მან., სამისთვის (20797) — 4 მან.

**მეორე:** ექვსი და ხუთი პლუს ერთი ნომერი აქაც ვერავინ გამოიცნო. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის (13 ბარათი) მოგება 2305 მანეთია, ოთხი პლუს ერთისთვის (19) — 79 მან., ოთხისთვის (551) — 54 მან., სამისთვის (9624) — 4 მან.

**„სპორტლოტო 5-36“-დან:**

**პირველი:** ხუთი ნომრის გამოცნობისთვის (3 ბარათი) მოგებაა 10000 მან., ოთხისთვის (585) — 298 მან., სამისთვის (24477) — 7 მან.

**მეორე:** ხუთი ნომრის გამოცნობისთვის (12 ბარათი) მოგება 6366 მანეთია, ოთხისთვის (1287) — 98 მან., სამისთვის (34827) — 5 მან.

მოგებული თანხის გაცემა იწარმოებს 12 მარტიდან 12 აპრილის ჩათვლით.

(საკდესი).

## მ ხ ი ა რ უ ლ ი ფ ა ნ ქ ა რ ი თ

ი. ყეინაშვილისა და ვ. კუციას ნახატები.



უსიტყვოდ.



უსიტყვოდ.

— შენი ქმარია? რომელი?
— მეექვსე!...

„ლელოს“ მორიგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 11 მარტს.

**რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.**

ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი
(აკ. წერეთლის გამზ. № 2)
10 მარტს
ფ ე ხ ბ უ რ თ ი
სსრ კავშირის თასის გათამაშება
„დინამო“ (თბილისი) — ასკ (ოდესა)
დასაწყისი 16 ს., 30 წ.
ბილეთები გაიყიდება 9 და 10 მარტს დილის 12 საათიდან „დინამოს“ სტადიონის სალაროებში.
ძალაშია 1979 წელს გაცემული ყველა სახის საშვი.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 უე 10059